საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/119 " 23 " ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. 2021 წლის 17 ივნისს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე რაიონულ სასამართლოებში თანამდებობაზე დაინიშნენ ახალი მოსამართლეები, ამასთან, 2021 წლის 18 ივნისს ზოგიერთი მოსამართლე დაინიშნა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული დანიშვნების გათვალისწინებით რაიონულ სასამართლოებში (სადაც არ არის სპეციალიზირებული სასამართლო კოლეგიები) საჭიროა განისაზღვროს მოსამართლეთა სპეციალიზაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/44 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;
„5. გურჯაანის რაიონული სასამართლო:
ა) სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია:
ა.ა) ნანა ჩალათაშვილი.";

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;
„8. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო:
ა) სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია:
ა.ა) ბადრი ნიპარიშვილი.";

დ) მე-10 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია:
ბ.ა) თორნიკე კაპანაძე;";

ე) მე-10 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი:
„გ) ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია:
გ.ა) ია ბარამიძე.";

ვ) მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ) მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა.ა) გიორგი ბუხრაშვილი.“;

თ) მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი: „ბ.ბ) გიორგი თუნაური.“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივლისიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი